საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **24 ივლისი, 2012 წელი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 139

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის კოდექსის" 21-ე მუხლის 1-პუნქტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ამოღებულ იქნას სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი და ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:
„აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ აკადემიურმა პირმა აკადემიურ საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში აკადემიური შვებულების შესახებ."

2. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩაიწეროს შემდეგი რედაქციით:
„ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული წახალისების ზომების გარდა, უნივერსიტეტის პერსონალზე გაიცემა თანხა 1 თვის ხელფასის ოდენობით, დაბადებიდან 60 წლის იუბილეზე, ასევე 70 წლის იუბილეზე, ხოლო 70 წლის შემდეგ, ყოველ 5 წელში ერთხელ. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გაიცეს სხვა ოდენობის თანხა რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით."

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**